



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან



**CAUCASUS**  
SWISS AGRICULTURAL SCHOOL

# პრაქტიკული ტრენინგები სოფლის მეურნეობაში

## სახელმძღვანელო

### სასოფლო სამეურნეო ცხოველთა მოვლა

# I

წინამდებარე სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ გაწეული დახმარების შედეგად. კუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ მთავრობის შეხედულებებს.

# საქონლის მოვლა და შენახვა



© Lukas Herzog, BZL Hohenrain

ამ თავში თქვენ შეისწავლით, თუ როგორ გამოკვებოთ პირუტყვი სწორად, როგორ მართოთ ის ან გადაიყვანოთ სხვა ადგილას. თქვენ ასევე შეისწავლით, თუ როგორ დააკვირდეთ ცხოველებს და ამოიცნოთ ცხოველების სიგნალები. ეს საშუალებას მოგცემთ შეაფასოთ, თუ რამდენად კომფორტულად გრძნობს ცხოველი თავს.

შეძენილი ცოდნა შეგიძლიათ გამოიყენოთ პრაქტიკაში და შემდეგ სიტუაციებში:

- სიტუაცია 1 გადაწყვეტილი გაქვთ მშრალი ცხოველების ლაქტაციაში მყოფი ცხოველებისაგან გამოყოფა. თქვენ ახერხებთ ძროხის დაჭერას, მისთვის საბელის გაკეთებას და ახალ სადგომში გადაყვანას.
- სიტუაცია 2 თქვენ პასუხისმგებელი ცხოველების სისუფთავეზე. ფერმაში დამონტაჟებულია ცხოველთა საწმენდი ჯაგრისი. ამჩნევთ, რომ ცხოველები ბოლო რამდენიმე დღეა უფრო მეტად დაბინძურებული არიან, ვიდრე ზოგადად. ფიქრობთ, რა გადაწყვეტილება მიიღოთ.
- სიტუაცია 3 ძროხის მშობიარობას მხოლოდ თქვენ აკონტროლებთ. მშობიარობამ კარგად ჩაიარა. ახლა თქვენი გადასწყვეტია, დაუყოვნებლივ მოაშოროთ თუ არა ახალშობილი ხბო დედას.
- სიტუაცია 4 პირუტყვი საძოვარზე გყავთ გაყვანილი. ამჩნევთ, რომ საძოვარზე საკვები მცირდება და ძროხები ხმამაღალი ზმუილით იქცევენ ყურადღებას. თქვენი ამოცანაა ნახირი სხვა საძოვარზე გადარეკოთ.
- სიტუაცია 5 თქვენი ამოცანაა ფერმაში ახურებული ფურის ამოცნობა. თქვენ მატ ყურადღებით აკვირდებით, თუმცა ამას ვერ ახერხებთ. რა უნდა მოიმოქმედოთ ასეთ შემთხვევაში?
- სიტუაცია 6 თქვენ პასუხისმგებელი ხართ ფერმაში ცხოველთა სხვადასხვა ჯგუფის კეთილდღეობაზე. შესაბამისად, დღეში ორჯერ საკონტროლო ჩამოვლას ახორციელებთ და იცით, რას უნდა მიაქციოთ ყურადღება

## შინაარსი

<b>1</b>	<b>ცხოველთან მიახლოება, შეხება, დაბმა</b>	
1.1	ცხოველთან მიახლოება	5
1.2	შეხება და დაბმა	6
1.3	ცხოველის ტარება და დაბმა	7
1.4	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	8
<b>2</b>	<b>ცხოველების დასუფთავება</b>	<b>9</b>
	<b>მშობიარობის შემდეგ ფურსა და ხბოს შორის</b>	
	<b>კონტაქტის მართვა</b>	<b>11</b>
<b>3</b>	<b>ნახირის მართვა</b>	<b>13</b>
<b>4</b>	<b>ნახირში სწორად მოქცევა</b>	<b>16</b>
4.1	წინაპირობების ცოდნა	16
	ცხოველთა სიგნალების ამოცნობა	17
<b>5</b>	<b>ცხოველზე დაკვირვება</b>	<b>18</b>
5.1	ცხოველთან კარგად ყოფნის სიგნალები	18
5.2	სიგნალების ინტერპრეტაცია	19
5.3	ცხოველებზე სისტემატიური დაკვირვება	20

# 1 ცხოველთან სწორი მიახლოება

იმისათვის, რომ წინასწარ განსაზღვროთ ან სწორად შეაფასოთ ძროხის შესაძლო რეაქციები, კარგად უნდა იცოდეთ მისი ქცევის და, კერძოდ, მის მიერ გარესამყაროს აღქმის თავისებურებები, რომელიც განსხვავებულია ადამიანისგან. იმისათვის, რომ ძროხას მიუახლოვდეთ, შეეხოთ მას და, საჭიროების შემთხვევაში, დანიშნულ ადგილამდე მიიყვანოთ, სასარგებლოა ვიცოდეთ, თუ როგორ ხედავს და ესმის ძროხას.

*პირუტყვის მიერ გარესამყაროს აღქმა განსხვავდება ადამიანისგან*


ზოგადად, ფერმაში მუშაობა და ცხოველებზე ზრუნვა, გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული და რაც მეტი გვეცოდინება ცხოველების ქცევის შესახებ, მით უფრო ადვილია მსგავსი რისკების თავიდან აცილება.

## ძროხის ხედვის არეალი

ადამიანის თვალები თავის წინა მხარესაა, პირუტყვის თვალები კი თავზე გვერდულადაა განლაგებული. შესაბამისად, პირუტყვის ხედვის ველი ადამიანზე 270°-ის მეტია. თუმცა, ძროხა ადამიანზე გაცილებით უარესად ხედავს და საგნების მკვეთრად დანახვა მხოლოდ ექვსი მეტრის მანძილზე შეუძლია.

*ძროხა, ხედვის არეალის უდიდეს ნაწილში, მხოლოდ ბუნდოვან სურათებს აღიქვამს. მიუხედავად იმისა, რომ მას უნარი აქვს ამ არეალში მოძრაობა დააფიქსიროს, მას საკმაოდ უჭირს მისი იდენტიფიცირება და სილუეტებს ხშირად საფრთხედ აღიქვამს. ამიტომ მნიშვნელოვანია, ცხოველთან მიახლოებამდე მასთან საუბარი.*

ადამიანისა და პირუტყვის ხედვის არეალი



## სიბნელესთან და სინათლესთან შეგუება

პირუტყვის თვალეები ადამიანის თვალეებისგან კიდევ სხვა მხრივაც განსხვავდება: მის თვალის გუგებს ადამიანებთან შედარებით ათჯერ მეტი დრო სჭირდებათ სინათლის ცვლილებებთან შეგუებისათვის. ეს კი, თავის მხრივ, იმის მიზეზია, რომ პირუტყვი ხშირად ყოყმანობს ხოლმე ბელელში შესვლამდე.

## გაითვალისწინეთ შემდეგი რეკომენდაციები:

- მიახლოების დროს, შეეცადეთ პირუტყვს თვალეებში პირდაპირ არ შეხედოთ; ასე ის ნაკლებად დაისტრესება და გაქცევის შანსიც ნაკლებია.
- გაითვალისწინეთ, რომ ძროხა სინათლისა და ჩრდილის მონაცვლეობის ზონებს, წყალზე სინათლის ანარეკლს ან კაშკაშა შუქის წყაროს დაბრკოლებად აღიქვამს და ნებაყოფლობით მათ სიახლოვეს გავლა არ სიამოვნებს.
- მოერიდეთ ცხოველების სიახლოვეს მკვეთრ და უეცარ მოძრაობებს.
- პირუტყვს უკნიდან მუდამ საუბრით მიუახლოვდით.

## სმენა


პირუტყვის სმენაც ასევე განსხვავდება ადამიანისგან. პირუტყვის ყურის ნიჟარა ძალიან დიდი და მოქნილია, სულ მცირე ხმაურზეც კი შესაბამისი მიმართულებით მობრუნებით რეაგირებს. ყურების პოზიციის მიხედვით შეგიძლიათ დაადგინოთ, ძროხა ნერვიულობს, ფხიზლობს, აგრესიულია თუ მშვიდად გრძნობს თავს. ეს კი, საშუალებას გაძლევთ, გამოიცნოთ ცხოველის შესაძლო რეაქციები.

პირუტყვი, როგორც წესი, უგრძნობია ადამიანის ნორმალური სასაუბრო ბგერითი სიხშირის მიმართ. შესაბამისად, ჩვენი ხმის ტემბრი პირუტყვს უნდა მოვარგოთ.

გარკვეული ტიპის ხმებზე პირუტყვს განსაკუთრებულად ნერვიული რეაქცია აქვს, რასაც შესაძლოა პანიკა და ზოგჯერ მთელი ნახირის გაქცევაც კი მოყვეს.

პირუტყვი განსაკუთრებით მგრძნობიარედ შემდეგი ტიპის ხმაურზე რეაგირებს:

- მეტალის ბარიერების ან ჯაჭვების ერთმანეთთან დარტყმის ხმა
- ხმამაღალი და გამკვივანი ყვირილი
- ახალი და უცნობი ხმები
- შეშინებული პირუტყვის ზმუილი



ყველაფერი, რაც ძროხის უკან ხდება, ცხოველისათვის დაფარული არეალია. შესაბამისად, თუ მას მოულოდნელად უკნიდან მიუახლოვდებით, მან შესაძლოა ტლინკები ყაროს.



აწული ყურები გვანახებს, რომ ცხოველები ყურადღებით არიან.

## 1.1 ცხოველთან მიახლოება

ძროხასთან მიახლოებისას ისე უნდა მოიქცეთ, რომ ცხოველი არ შეშინდეს, და არც თავს დაგესხათ და არც უკან დაიხიოს. როგორც წესი, პირუტყვი ადამიანს გაურბის და იშვიათად თუ ესხმის მას თავს. შემდეგ სიტუაციებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ პირუტყვის სიგნალებს, რათა შეძლოთ შესაძლო თავდასხმის დროული ამოცნობა და სწორი რეაგირება:


*პირუტყვის მეპატრონის ხასიათის შეცნობა, პირუტყვის საქციელზე დაკვირვებითაა შესაძლებელი!*

- ცხოველს ეშინია და ცდილობს მოგერიდოთ. თუმცა, იმის გამო, რომ ამას ვერ ახერხებს (მაგალითად, კედლის გამო), იგი შესაძლოა თავს დაგესხათ.
- თუ პირუტყვის ნახირს მოაცილებთ, მას შიში უჩნდება და ისევ ნახირში დაბრუნებას შეეცდება.
- თუ ძალიან მიუახლოვდებით ხბოს, რომელიც დედასთან იზრდება, ფური ინსტინქტურად ხბოს დაცვას შეეცდება და შესაძლოა თავს დაგესხათ.

რაც უფრო უკეთ იცნობთ თქვენ და თქვენი პირუტყვი ერთმანეთს, მით უფრო ნაკლებია კრიტიკული სიტუაციების წარმოშობის ალბათობა. ურთიერთნდობა ასევე იმის საფუძველია, რომ შეძლოთ თქვენს ცხოველებთან მიახლოება ისე, რომ ისინი არ გაიქცნენ. რაც უფრო მშვიდად მიუახლოვდებით ცხოველებს და რაც უფრო კარგად შეძლებთ პირუტყვის ქცევის პროგნოზირებას, მით უფრო ადვილია შეეხოთ საქონელს და საჭიროების შემთხვევაში, ხელი ჩასჭიდოთ ლაგამს.

*ურთიერთნდობა ადამიანსა და ცხოველს შორის აუმჯობესებს და ამარტივებს ურთიერთობას.*

### ცხოველთან მიახლოების სხვადასხვა ვარიანტები



- 1 ცხოველი მოდუნებულია, თავს მშვიდად გრძნობს და როგორც ჩანს, შეჩვეულია ადამიანებთან ყოფნას. მიიქცეით ყურადღება საუბრით.
- 2 ცხოველი მოუსვენრადაა. ის, ალბათ, თითქმის არ არის მიჩვეული ადამიანებთან ურთიერთობას. სანამ ნელ-ნელა მიუახლოვდებით, მტკიცე ხმით მიმართეთ ცხოველს, რათა მისთვის თქვენი მიახლოება არ აღმოჩნდეს უცაბედი.
- 3 ცხოველს თავი და ყურები აწეული აქვს. ის შეშინებულია და თუ მას სწრაფად მიუახლოვდებით, სავარაუდოდ გაიქცევა ან თავს დაგესხმით; მიუახლოვდით გვერდიდან მხრის სიმაღლეზე. პირუტყვის სხეულის ეს ნაწილი საკმაოდ უმოძრაოა და შესაბამისად, დაცული იქნებით ტლინკებისაგან.

## 1.2 ცხოველის დაჭერა და დაბმა

### ცხოველის ხელით დაჭერა

იმისათვის, რომ ხბო ლაგამის გარეშე დააკავოთ, ერთი ხელით მისი ქვედა ყბა დაიჭირეთ, მეორე ხელით კი, საპირისპირო მხარეს მდებარე ყური.



ერთი ხელით მისი ქვედა ყბა დაიჭირეთ, მეორე ხელით კი საპირისპირო მხარეს მდებარე ყური. თავი ზემოთ აუწიეთ.



თუ იმ ხელის ცერა თითს, რომლითაც პირუტყვის ქვედა ყბა გიჭირავთ, მას ყბებს შორის შეუცურებთ, ამით ცხოველის წინააღმდეგობას შეამცირებთ.

## ცხოველების დაჭერა საბელით


პირუტყვთან მუშაობა შეიძლიათ უბრალო თოკით ან საბელით. ძროხისთვის საბელის გაკეთების რამდენიმე მეთოდი არსებობს.

1. მიაღუქით ცხოველს მარცხენა მხრიდან.
2. საბელი ისე დაამაგრეთ, რომ კვანძები კარგად ჩანდეს.
3. დაარეგულირეთ მარყუჟის ზომა პირის გარშემო.
4. დაამაგრეთ საბელი

### 1.3 პირუტყვის ტარება, დაბმა

როდესაც ცხოველი თოკით მიგყავთ, თოკს ორივე ხელი მოკიდეთ. კისერთან ახლოს მყოფი ხელით ცხოველის თავი ოდნავ ისე აწიეთ, რომ მას რეაგირების საშუალება შეუზღუდოთ.

წინ სიარულის დროს, თოკი არ შემოიხვიოთ ხელებზე, რათა საჭიროების შემთხვევაში, ხელის გაშვება მოახერხოთ. თოკს ბოლოში კვანძი გაუკეთეთ, რათა ხელიდან არ გაგიცურდეთ.




თუ ცხოველი გაქცევას ცდილობს, თავი ქვევით დაუწიეთ. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ თქვენი სხეულის მთელი წონა. არასდროს არ დადგეთ ცხოველის უკან, რადგან ყოველთვის არსებობს იმის შანსი, რომ ცხოველი გაიქცეს.

#### ძროხა შეიძლება შეაშინოს:

- • შუქის ანარეკლმა წყალზე
- • ძლიერმა შუქმა და კამკამა შუქმ
- • მეტალის ჟღარუნმა, მკვეთრმა ხმამ
- • ძალიან ბნელმა შესასვლელებმა
- • აღელვებული ხალხის დანახვამ
- • იატაკის საფარის ხშირად ცვლილებამ
- • იატაკზე მიმოფანტულმა პატარა საგნებმა

#### თოკი ბოძზე ან სპეციალურ რგოლზე დაამაგრეთ





## უბედური შემთხვევების თავიდან აცილება

ცხოველებთან მუშაობისას მუდამ ფხიზლად უნდა იყოთ, რადგან უბედური შემთხვევა ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს. ყოველდღიური რუტინიდან გამომდინარე, ხშირად გვავიწყდება რისკების სწორი შეფასება.

პირუტყვის მიერ ადამიანისადმი მიყენებული ყველაზე ხშირი დაზიანებები:

- სისხლჩაქცევები მკლავებზე და ტანზე
- თვალის დაზიანებები რქებისა და კუდის დარტყმისგან
- ფეხის დაზიანებები ჩლიქის დარტყმის შედეგად

## 2 ცხოველის გასუფთავება

პირუტყვი, რომელიც თავისუფლად გადაადგილდება, რეგულარულად ისუფთავებს ბეწვს. ამისთვის ის სხეულის ყველა იმ ნაწილს ილოკავს, რომელსაც ენით წვდება. თავის მოვლის დროს, ძროხას საოცარი მოქნილობის გამოვლენა შეუძლია: მყარ ზედაპირზე დგომა ცხოველს საშუალებას აძლევს უკან გადაიზნიქოს და მუცელი გაილოკოს. თუ იმ სადგომებში, სადაც ძროხები თავისუფლად გადაადგილდებიან, სახეხ ჯაგრისებს დავაყენებთ, ეს მათ საშუალებას მისცემს თავად გაიწმინდონ თავი. სახეხი ჯაგრისები ასევე ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევას.

გერმანიის სოფლის მეურნეობის ფედერალური კვლევითი ინსტიტუტის (FAL) მიერ ჩატარებული კვლევები ძროხის სხეულის ჰიგიენის შესახებ, შემდეგს აჩვენებს:

- პირუტყვი ჯაგრისის საშუალებით დღეში საშუალოდ სამიდან ექვსჯერ იწმინდს თავს.
- ყველაზე ინტენსიურად თავის არეალს ისუფთავებენ (დასუფთავების მთლიანი დროის 55% თავზე იხარჯება).
- უპირველეს ყოვლისა ცდილობენ თვალეების ირგვლივ მდებარე ადგილების დასუფთავებას, რადგან პარაზიტების უმრავლესობა, სწორედ აქ სახლდება ხოლმე
- სიამოვნებით რქის ძირის უკან არსებული ჩაღრმავების გაწმენდა, რადგან ამ ადგილს თავად ვერ აღწევენ
- განსაკუთრებით მოსწონთ ზურგის გაწმენდა (დასუფთავების მთლიანი დროის 37%).
- გაწმენდის დროის 8% ეთმობა ყელის გაწმენდას.
- კვლევებმა აჩვენა, რომ პირუტყვს გაწმენდა ყველაზე მეტად ჭამამდე და ჭამის შემდეგ უყვარს. შესაბამისად, უპირიანი იქნება, თუ სახეხ/საწმენდ ჯაგრისებს საკვებ კორიდორში დავაყენებთ
- ერთი ჯაგრისი 60 ძროხას ყოფნის
- არ არის მიზანშეწონილი საწმენდი ჯაგრისების დაყენება საწველი დანადგარის წინ და უკან ან ვიწრო გასასვლელებში, რადგან ამან შეიძლება ცხოველების მოძრაობა შეაფერხოს.

ფერმაში წველის დაწყების წინ, საჭიროა ცურისა და ცურთითების გულდასმით გაწმენდა. ამისათვის შეგვიძლია ერთჯერადი ქაღალდის, სუფთა ბურბუშელის ან ცურის საწმენდი ნამიანი ტილოს გამოყენება. რაც უფრო სუფთაა სადგომი და ეზო, მით უფრო სუფთა იქნება ცხოველიც და მისი ცურიც.

სუფთა ცური ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ახალ ნამშობიარები ფურისათვის, რადგან ახალ მოგებულ სბო არასოდეს წოვს რძეს დაბინძურებული ცურიდან, ხოლო თუ ცური რეგულარულად არ დაიცავს, მას შეიძლება ცურის ანთება მოყვას.

მყარი ნიადაგი ამგვარი მოძრაობის გაკეთების წინაპირობაა



© Beat Tschanz, Bolligen




© Heilmann AG, Münsingen

დაუბმელ ფერმაში დაყენებული ჯაგრისი.



ძოვების დროს პირუტყვი სხეულის მიუწვდომელი ნაწილებით ხეებს და ღობეებს ეხახუნება. საქონელი კუდს მწერების მოსაგერიებლად და ბეწვის „დასავარცხნად“ იყენებს. ზრდასრულ ცხოველებში დაფიქსირებულია დღეში 152 ალოკვის და 28 მოფხანვის მოქმედება. ძროხები ხშირად ერთმანეთსაც ლოკავენ. ამ გზით ისინი იმ მიუწვდომელ ადგილებს ისუფთავებენ, რომლებსაც თავად ვერ წვდებიან. როგორც წესი, მლოკავი ცხოველი, იერარქიულად უფრო დაბალ საფეხურზე იმყოფება, ვიდრე ის ცხოველი, რომელსაც ლოკავენ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კანზე არსებული მარილის შრეების ლოკვა ცხოველებს კარგია არა მარტო ჰოგიენისათვის, არამედ ერთმანეთთან სოციალური კონტაქტის დამყარებას უწყობს ხელს. ასევე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ლოკვა დამამშვიდებელი ჟესტია უფრო მაღალ რანგზე მყოფი ცხოველების მიმართ. ლოკვით კონტაქტებს ამკარად გარკვეული რიტმი აქვს, რადგან ის ყოველთვის პირუტყვის კვებით და წოლით ფაზებს შორის მდებარეობს. მაგალითად, იმ პირუტყვს, რომელიც მთელი დღის განმავლობაში საძოვარზეა, დღეში სამი-ოთხი ლოკვითი ფაზა აქვს და განსაკუთრებით აქტიური საღამოს ხდება.

სხეულის სხვადასხვა ნაწილების ლოკვის სიხშირე



- 1 ლოკავს რეგულარულად
- 2 ლოკავს საკმაოდ ხშირად
- 3 ლოკავს ხშირად
- 4 ლოკავს იშვიათად
- 5 არ ლოკავს არასდროს

**საძოვარზე მყოფი ცხოველების ურთიერთლოკვის სიხშირე**



სხეულის „სოციალური მოვლა“: სხეულის იმ ნაწილების ურთიერთლოკვა, რომლებსაც ცხოველი თავად ვერ უდგება

**დაბმული შენახვის სადგომი**

დაბმული შენახვის სადგომში ცხოველებს არც საკუთარი თავის და არც ერთმანეთის ლოკვის საშუალება აქვთ. სწორედ აქ არის მიზანშეწონილი სახენი/საწმენდი ჯაგრისების გამოყენება, რომელიც არა მხოლოდ გაწმენდას ემსახურება, არამედ ხელს უწყობს ცხოველის კეთილდღეობას. ამასთანავე, ეს ზრუნვა ასევე აძლიერებს კავშირს ადამიანსა და ცხოველს შორის.

შესაბამისად, ცხოველთა დაუბმელი შენახვის მეთოდი, ხელს უწყობს ერთმანეთის რეგულარულ ლოკვას და ამით ფერმერის სამუშაოსაც აადვილებს. ძალიან დაბინძურებულ ცხოველს მეტალის სპეციალური საფხეკით ასუფთავებენ. ამგვარი საფხეკი ნაზად უნდა გამოიყენოთ, რადგან ის ცხოველისთვის ნაკლებად კომფორტულია და ცხოველმა თავდაცვის მიზნით შესაძლოა ტლინკი ყაროს და დაგაზიანოთ. ისევე როგორც სხვა სადგომებში, დაბმული შენახვის სადგომშიც, ცურის სისუფთავეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

## 2 მშობიარობის შემდეგ ფურსა და ხბოს შორის კონტაქტის მართვა

პირუტყვის ყნოსვის გრძნობა ძალიან კარგად აქვს განვითარებული. მშობიარობიდან რამდენიმე საათის განმავლობაში, ახალნამშობიარები ფური ძალიან მგრძნობიარეა ამნიონური სითხის სუნის მიმართ, მაშინ როცა ეს სითხე პრაქტიკულად უსუნოა ადამიანისთვის. სუნი ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს მშობიარობის შემდეგ დედის მიერ საკუთარი ხბოს ამოცნობასა და მის შვილად აღიარებაში. დედა ყნოსვის წყალობით ამყარებს შერჩევით და ხანგრძლივ კავშირს ხბოსთან. ფურს ყნოსვა რომ არ ჰქონდეს, ის ლაქტაციის ნებისმიერ ეტაპზე ნებისმიერ ხბოს აწოვებდა ძუძუს. ხბოც ასევე ყნოსვით ცნობს დედას, თუმცა ის დედას ასევე ზმუილით, ხოლო ერთი კვირის შემდეგ კი, მისი ქცევითაც ცნობს.

### ხბოს გამოზრდა დედასთან

დედასა და ხბოს შორის კავშირი ძლიერია ძუძუს წოვის პერიოდში, განსაკუთრებით კი, სუფთა სახორცე ჯიშის ძროხებში. ფურს საშუალება უნდა ჰქონდეს მუდამ ხედავდეს თავის ხბოს, ისევე როგორც ხბომ უნდა იპოვოს დედა. ხბოს დედასთან დატოვების შემთხვევაში, ადამიანს ცხოველებთან რეგულარული კონტაქტი უნდა ჰქონდეს, რათა ფურმა ის თავისი ხბოსათვის საფრთხედ არ აღიქვას.



© Beat Tschanz, Bolligen

### შვილება

უცხო ხბოს შვილებას ძროხა სრულფასოვნად მხოლოდ მაშინ ახერხებს, თუ ის მკვდარ ნაყოფს შობს და მას სწორედ ამ დროს მოუყვანენ უცხო ხბოს. ამისათვის ხბოს ახალნამშობიარები ძროხის ამნიონური სითხე კარგად უნდა შევაზილოთ, რათა მან მისი სუნი აიღოს. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ძროხებში, განსაკუთრებით კი სახორცე ჯიშებში, დედობრივი ინსტინქტი იმდენად ძლიერია, რომ შვილად აყვანის პროცესი საკმაოდ რთულია.

## რძის მეურნეობა

რძის მეურნეობაში პირიქითაა. მნიშვნელოვანია, რომ ფურსა და ხბოს შორის არ ჩამოყალიბდეს ძლიერი კავშირი, რათა გარდაუვალმა განცალკევებამ ნაკლებად მტკივნეულად ჩაიაროს. თეორიულად, შესაძლებელია ხბო დედას დაბადებისთანავე მოვაცილოთ, თუმცა რეკომენდირებულია დაველოდოთ, სანამ ძროხას ხბოს არ ალოკავს, რადგან ეს აქტიურებს ახალშობილის სასიცოცხლო ფუნქციებს. ამასთან, ხბო დედას იქამდე უნდა მოვაცილოთ, სანამ ის ძუძუს წოვებას დაიწყებს, რათა მათ შორის არ ჩამოყალიბდეს მჭიდრო კავშირი. ეს ფერმერს ასევე საშუალებას აძლევს უკეთ გააკონტროლოს ხსენის მიღება. ადამიანების უმეტესობისთვის ამგვარი განცალკევება არაბუნებრივი და სასტიკი ქმედებაა, ამიტომ მნიშვნელოვანია, მეცხოველეებმა კარგად აუხსნან მომხმარებლებს, რომ ეს პროცედურა აუცილებელია რძის სრულფასოვანი წარმოებისათვის.

მეძუძური ძროხისა და ხბოს განცალკევება რძის წარმოების მეთოდის ნაწილია, რომელიც მაქსიმალურად ბუნებრივი უნდა იყოს, მაგრამ ამავე დროს უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანის მუდმივად მზარდი პოპულაციის კვებით მოთხოვნილებებს.



დედაფური ხბოსთან ერთად: როგორც წესი, ახალშობილ ხბოს დედას დაბადებიდან რამდენიმე საათის მერე ამორებენ..

### 3 ნახირის მართვა

პრაქტიკულად ყოველდღე გვიწევს ცხოველების სხვადასხვა ადგილებამდე მიყვანა. მათ ამაში ჩვენი მხარდაჭერა სჭირდებათ, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც პირუტყვი საწველი დანადგარების მოსაცდელში ან საძოვარზე გაგყავს ან მათი ტრანსპორტირება გვსურს. ასეთ დროს, ცხოველმა ის უნდა გააკეთოს, რაც ადამიანს სურს. შესაბამისად ადამიანმა ნახირი მიზანმიმართულად უნდა მართოს. ცხოველთან ეფექტური ურთიერთობისა და მართვის მიზნით, ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის დაცვაა აუცილებელი:

- მოერიდეთ სტრესს!
- მოთმინებას ხშირად უფრო სწრაფად მიყვავართ მიზნამდე, ვიდრე დაძაბულ და აღელვებულ ქმედებას.

#### ნახირის მართვა სადგომში და საძოვარზე

პირუტყვის ტარება ხდება როგორც სადგომში, ასევე საძოვარზე. ნახირის სწორად მართვას სწავლა სჭირდება. ადამიანმა და ცხოველმა უნდა გაუგოს ერთმანეთს და უნდა იცოდნენ, რა სურს მეორეს.

პრინციპში, სადგომში ნახირის მართვისას იგივე წესები მოქმედებს, რაც საძოვარზე. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ისეთი ბარიერები, როგორიცაა კედლები, ბოქსები, გისოსები და ა.შ. გვეხმარება ძროხების მართვაში, ხოლო საძოვარზე მყოფ ცხოველებს, როგორც წესი, ბევრი თავისუფალი ადგილი აქვთ.

მართვისას მნიშვნელოვანად „დაგვეხმარება“ ცხოველის „აღქმისა“ და „მოძრაობის“ ზონების ცოდნა. ამ ზონების არეალი ყველა ცხოველისთვის ერთი და იგივე არაა. ნეიტრალურ აღქმის ზონაში ადამიანი მხოლოდ ცხოველის ყურადღებას იპყრობს, მოძრაობის ზონაში შესვლისას კი ცხოველი გარბის. ამ ორ ზონას შორის არის აღქმის ზონა. სწორედ ამ ზონაში უნდა იმოძრაოს ადამიანმა მიზანმიმართულად და გააზრებულად, რათა პირუტყვში სასურველი რეაქციები გამოიწვიოს.

იმისთვის, რომ პირუტყვმა ის გააკეთოს, რაც გვსურს, საჭიროა ადამიანსა და ცხოველს შორის არსებობდეს ურთიერთნდობა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პირუტყვს დაუტოვოთ დრო, რომელიც მას გადაადგილებისთვის სჭირდება. საქონლის სწორად მართვის შემთხვევაში, არ დაგჭირდებათ ჯოხი, ნერვიული მოძრაობები და ყვირილი. თუმცა, შეიძლება ჯოხის გამოყენება ადამიანის ჟესტების გასაძლიერებლად.

აღქმისა და მოძრაობის ზონა





## ნახირის ამოძრავება

ადამიანი ნახირს უკნიდან მართავს და მას ზიგზაგის ფორმის სვლით უახლოვდება. ამგვარი მიდგომა ცხოველებს საშუალებას აძლევს დაინახონ, ვინ მართავს მათ და რა სურთ მათგან. ამგვარი მიდგომა ასევე აჩენს ნდობას ცხოველებში და მათ აღარ უშინიათ.

როგორც კი ადამიანი გვერდიდან ცხოველების მოძრაობის ზონაში შედის, ისინი მსვლელობას იწყებენ. მიზანმიმართული მოძრაობებით ადამიანი ნახირის განაპირა ცხოველებს მიმართულებას აძლევს. თუ ისინი სასურველი მიმართულებით ამოძრავდებიან, ადამიანი ნახირის მეორე მხარეს გადადის და საქონელზე იქაც იგივე ტიპის ზემოქმედებას ახორციელებს

შესაძლებელია ასევე ნახირის გვერდიდან მართვა, თუმცა ეს კიდევ უფრო მეტ სიფაქიზესა და ცხოველის კარგ ცოდნას მოითხოვს. ასეთ შემთხვევაში, მენახირე ნახირს გვერდულად უდგება და საქონლის მოძრაობის ზონაში შედის. ცხოველები იწყებენ მსვლელობას და ცხოველებთან გვერდითი ზიგზაგური მოძრაობებით მენახირე ცხოველებს სასურველი მიმართულებით წარმართავს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ვარიანტის დროს ცხოველები ყოველთვის იმ მიმართულებით გარბიან, საითაც იყურებიან.



## ნახირის მოძრაობა

იმისათვის, რომ ცხოველებმა შეინარჩუნონ მოძრაობა სასურველი მიმართულებით, მენახირე ნახირის უკან ზიგზაგის ფორმით მიყვება და ყოველთვის ყველაზე უკანა მყოფი ცხოველის მოძრაობის ზონის ზღვარზეა. ამგვარად მას ყოველთვის შეუძლია შეინარჩუნოს ცხოველზე მამოძრავებელი ზეგავლენა.



## ნახირის სასურველი მიმართულებით გადარეკვა


მაგალითად, თუ ცხოველები მარცხნივ უნდა გადავრეკოთ, მენახირე მარჯვენა მხრიდან ნახირის ცენტრში შედის და შემდეგ ზიგზაგის კურსით სასურველი მიმართულებით აგრძელებს მოძრაობას. ის ნელ-ნელა უახლოვდება ყველაზე განაპირა მყოფი ცხოველების მოძრაობის ზონას. როგორც კი ისინი სასურველი მიმართულებით იცვლიან პირს, დანარჩენი ცხოველებიც ნელ-ნელა მათი მიმართულებით იწყებენ შემობრუნებას. მიმართულების შეცვლა ყოველთვის გვერდიდან უნდა განხორციელდეს და არა უკნიდან



## ნახირის გაჩერება

ნახირის გაჩერება გააზრებულ ნაბიჯებს მოითხოვს, რათა ნახირმა შემთხვევით უკან სვლა არ დაიწყოს.


მენახირემ საქონელს მათი მოძრაობის ზონის გვერდის ავლით უნდა გადაუსწროს და ნახირის წინ გააგრძელოს სიარული. იმისათვის, რომ წინ მყოფმა ცხოველებმა სვლა შეანელონ, ადამიანი აგრძელებს ზიგზაგის ფორმის სიარულს და ნელ-ნელა აგდებს ტემპს. ის ამგვარად წინა მხრიდან „ზეწოლას“ ახორციელებს პირუტყვზე. წინ მიმავალი პირუტყვიც ამჩნევს, თუ რა სურს მისგან მენახირეს, ნელ-ნელა ანელებს სვლას და შესაბამისად უკან მომავალ ცხოველებსაც აჩერებს. ძალიან სწრაფად დამუხრუჭება კი იმას გამოიწვევს, რომ წინ მყოფ ცხოველებს არ ექნებათ საკმარისი დრო ნახირის შესანელებლად და უკნიდან მომავალი ცხოველები მათ უკონტროლოდ მოაწვებიან, რამაც შესაძლოა ქაოსი და ცხოველების სხვადასხვა მიმართულებით გაქცევა გამოიწვიოს.



## ნახირის მართვა ვიწრო გასასვლელებში

ნახირი არასოდეს არ უნდა ავაჩქაროთ ვიწრო გასასვლელებში.

ზოგადად ცხოველები დიდი მოთმინების უნარით არ გამოირჩევიან და არ უყვართ როდესაც მათ აჩქარებენ. როდესაც მათ სტრესის ქვეშ ვამყოფებთ, ისინი იშვიათად აკეთებენ იმას, რაც ჩვენ გვსურს. და რადგან ცხოველებს ერთდროულად მხოლოდ ერთ რამეზე შეუძლიათ კონცენტრირება, ისინი „ბრძანებების“ იგნორირებას ახდენენ და მხოლოდ სტრესული სიტუაციიდან თავის დაღწევას ცდილობენ.



საძოვრის ცვლილების წინ, ცხოველებმა გამოცდილებით იციან, რომ წინ ახალი საკვები ელოდებათ, რაც აადვილებს მათ ვიწრო გასასვლელებში გაყვანის პროცესს, რადგან როგორც წესი, ისინი ნებაყოფლობით კვეთენ ხოლმე ამ გასასვლელებს. ამისათვის მოძრაობის ზონაზე უკნიდან ოდნავი ზეწოლაც კი საკმარისია.

### დასკვნა:

1. ცხოველებს სურთ დაინახონ, ვინ მართავს მათ.
2. ცხოველები იქით გარბიან, საითაც იყურებიან.
3. ადამიანის მოძრაობა ცხოველში საწინააღმდეგო მიმართულების მოძრაობას იწვევს
4. ცხოველები მხოლოდ ერთ რამეზე ფოკუსირდებიან
5. ცხოველებს არ აქვთ მოთმინების უნარი



## 4 ნახირში სწორად მოქცევა

ხშირია იმგვარი სადგომები, სადაც პირუტყვი თავისუფლად გადაადგილდება. შედეგად, ცხოველებს ნაკლები კონტაქტი აქვთ ადამიანებთან. ამიტომ, მნიშვნელოვანია მათთან ყოფნის დროს სწორად მოქცევა, რათა პირუტყვი ადამიანს შეეგუოს.

### 4.1 წინაპირობები

იმისათვის, რომ შეძლოთ ნახირში რაც შეიძლება უსაფრთხოდ და მიზანმიმართულად გადაადგილება, უნდა იცნობდეთ მას და უნდა იცოდეთ, თუ რა მიზნით აპირებთ მოძრაობას. მაგალითად, საღამო ხანს ნახირის საკონტროლო შემოვლა არ მოითხოვს ჩვენგან იგივე ქცევას, როდესაც ნახირში გზის გაკვალვას ვაპირებთ.


ნახირში შესვლამდე სწორად უნდა ჩაიცვათ. ნათელი და კაშკაშა ფერები ძროხებს ანერვიულებს. ამიტომ უნდა მოერიდოთ ამგვარ სამუშაო ტანსაცმელს.

პრინციპში, პირუტყვი სულაც არაა ნახირში ადამიანის ყოფნის წინააღმდეგი. თუმცა, ფერმერმა ცხოველებში მშვიდად, მტკიცედ და მიზანმიმართულად უნდა იმოძრაოს, რათა პირუტყვმა ადამიანის დომინანტური პოზიცია გააცნობიეროს.

ჯოხი დახმარებით შეგვიძლია ჩვენი ჟესტების და არტიკულაციის გაძლიერება. თუმცა, დაუშვებელია ჯოხის იარაღად გამოყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირუტყვი აშკარად გვესხმის თავს.

მაგალითები:

1. თუ გინდათ ნახირში გზა გაიკვალოთ, მხრებში უნდა გაიშალოთ და თავი „დიდად“ წარმოაჩინოთ. ამისათვის შესაძლებელია ხელების გაშლა. ლაპარაკობთ მტკიცედ და ხმამაღლა (არ ყვირით!). ძროხა დომინანტ „პარტნიორად“ აღგიქვამთ და ადგილს დაგიტოვობთ. თუმცა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ფუნქციონირებს, თუ ცხოველს გაქცევისათვის საკმარისი სივრცე აქვს.
2. საღამოს საკონტროლო შემოვლისას კი თავი შედარებით მომცროდ უნდა წარმოაჩინოთ. ნახირში ჰარმონიული და შეუმჩნეველი ნაბიჯებით იარეთ და საჭიროების შემთხვევაში პირუტყვს მშვიდი ჟესტებითა და მშვიდი სიტყვებით დაუყვავეთ. ამგვარი საქციელი ძროხებს ამშვიდებს და შესაბამისად, უფრო ადვილია ამოიცინოთ ავადმყოფი, დაშავებული ან ახურებული ცხოველი.



ნახირში მტკიცე ნაბიჯითა და ზედმეტი ყურადღების მიქცევის გარეშე სიარული, პირუტყვის მხრიდან არასასურველი ქცევის ალბათობას ამცირებს.

## 4.2 სიგნალების ამოცნობა და სწორი რეაგირება

ცხოველებთან ურთიერთობა ხშირად სახიფათოა, განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინებით, რომ ცხოველი ადამიანზე ბევრად მძიმეა და მეტიც, მას ისეთი „იარაღი“ აქვს, როგორცაა რქები!


ცხოველი ადამიანს უმიზეზოდ იშვიათად ესხმის თავს. ის თითქმის ყოველთვის წინასწარ აფრთხილებს ადამიანს თავისი განზრახვის შესახებ. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, ამოვიცნოთ ეს გამაფრთხილებელი ნიშნები და მათზე მყისიერი რეაგირება მოვახდინოთ.

პირუტყვის თავის პოზიცია მის განწყობაზე მეტყველებს. ხოლო თუ საქონელი ნიადაგს ფლოქვებს ურტყამს და ღმუის, ეს ნიშნავს, რომ ის აღელვებულია და თუ თავს არ დაანებებთ, დიდი შანსია თავს დაგესხათ.

გასათვალისწინებელია შემდეგი:

- პირუტყვს არასოდეს შეხედოთ პირდაპირ თვალებში. ამით თქვენ მას აგრძნობინებთ, რომ არ გსურთ დამორჩილება, რითაც მის პროვოცირებას მოახდენთ.
- შეეცადეთ, არ შეაშინოთ, არ დაემუქროთ და არ გააღიზიანოთ ცხოველი. ეს შეამცირებს თავდასხმის რისკს
- თუ ძროხა აშკარად გემუქრებათ, ზურგს ნუ შეაქცევთ, არამედ ნელ-ნელა დაიხიეთ უკან, სანამ სახიფათო ზონას არ გაცდებით. სანამ ცხოველის პირისპირ დგახართ, თავდასხმის შანსი შედარებით ნაკლებია. ეს ამავდროულად სიტუაციის კონტროლის საშუალებასაც გაძლევთ.
- მიუხედავად იმისა, რომ ცხოველმა უნდა იგრძნოს, რომ თქვენ დომინანტი - ანუ, იერარქიულად ყველაზე მაღალ საფეხურზე მდგომი „პირუტყვი“ - ხართ, ყოველგვარ პირდაპირ კონფრონტაციას მაინც თავი უნდა აარიდოთ, რადგან ძროხა თქვენზე ბევრად ძლიერი და მძიმეა და რეალური დაპირისპირების შემთხვევაში, დაგაზიანებთ.

თავის პოზია, როგორც თვითგამოსატყვის საშუალება



1 ნორმალური პოზიცია  
2 მცირე საფრთხე  
3 ძლიერი საფრთხე  
4 ნდობა  
5 მორჩილი მიდგომა  
6 ფხიზელი, ყურადღებებიანია

## 5 დაკვირვება ცხოველზე

ფერმის დასუფთავების, წველის ან გაძოვების დროს, თქვენ ყოველთვის გაქვთ შესაძლებლობა დააკვირდეთ თქვენს ცხოველებს. ცხოველების ქცევა გვაჩვენებს, კარგად და ჯანმრთელად გრძნობენ თუ არა ისინი თავს. რაც უფრო კარგად იცნობთ თქვენს ცხოველებს და რეგულარულად აკვირდებით მათ, მით უფრო სწრაფად შეამჩნევთ ცვლილებებს მათ ქცევაში. ამიტომ, სასურველია პირუტყვს დღეში რამოდენიმეჯერ გამიზნულად დააკვირდეთ, რათა დროულად ამოვიცნოთ შესაბამისი სიგნალები

### 5.1 კარგად ყოფნის ნიშნები

ათასობით წელია ადამიანები და ცხოველები ერთად ცხოვრობენ და უკვე რამდენიმე საუკუნეა ადამიანები ცხოველების ჯანმრთელობისა და გამრავლების საკითხებს იკვლევენ. თუმცა ცხოველთა ქცევა ინტენსიური დაკვირვების საგნად, მხოლოდ უახლოეს პერიოდში იქცა. ქცევა მოიცავს მოძრაობას, სხეულის მდგომარეობასა და ხმოვან სიგნალებს. ქცევა ასახავს ორგანიზმის ძალისხმევას, შეინარჩუნოს ან აღადგინოს ფიზიოლოგიური წონასწორობა. ამრიგად, ის თვითგადარჩენას და შესაბამისად სახეობის გადარჩენას ემსახურება.

ცხოველებს აქვთ ინსტინქტი. ინსტინქტი თანდაყოლილი ქცევაა, რომლის შეცვლა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გამოცდილებითაა შესაძლებელი. ინსტინქტური ქცევა და ცხოველთა ადაპტაციის უნარი მჭიდრო ურთიერთკავშირშია და ცხოველებში სწავლის უნარს აჩენს: ისინი სწავლობენ, მაგალითად, როგორ იპოვონ საკუთარი სახლის გზა, გაიცნონ ადამიანები როგორც უვნებლები არსებები ან სწავლობენ როგორ მოიხმარონ სასმელი მოწყობილობები.

როდესაც ამის შესაძლებლობა ეძლევათ, ცხოველები ინსტინქტურად ზრუნავენ თავიანთ კეთილდღეობაზე. ამრიგად, ცხოველი თავს კარგად გრძნობს, როდესაც შეუძლია დაიკმაყოფილოს თანდაყოლილი სასიცოცხლო მოთხოვნილებები, შეუძლია მოერგოს ადამიანის მიერ შექმნილ საცხოვრებელ პირობებს და თავისუფალია შიშისგან, ავადმყოფობისა და ტკივილისგან.

სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება ასევე მნიშვნელოვანია ცხოველის კომფორტისათვის. მაგალითად, იმისათვის, რომ მათ შეძლონ იზრუნონ სხეულის ჰიგიენაზე ან გამრავლებაზე, მათ უნდა შეეძლოთ თავისუფლად გადაადგილება.

### შეცნობა

ჯანმრთელ ცხოველებს აინტერესებთ გარემო და მათ ცნობისმოყვარეობას აღუძრავს უცნობი საგნები ან ხმები. ცხოველის სხეულისა და თავის პოზა მიგანიშნებს იმაზე, თუ როგორ გრძნობს ის თავს.

ჯანმრთელი ცხოველი, რომელიც თავს კომფორტულად გრძნობს, რძის ოპტიმალური წარმოების წინაპირობაა



თამაში და გარემოს ინტერესით აღქმა, ცხოველის კარგად ყოფნაზე მიუთითებს

## თამაში

ახალგაზრდა, ჯანმრთელი ცხოველები ძალიან ხშირად თამაშობენ. ამით ისინი შეისწავლიან თავიანთ ძალებს, მობილობასა და შესაძლებლობებს. თამაში ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური ქცევის განვითარებისთვის. თამაშისათვის დამახასიათებელია სირბილი, კუნტრუში, ტლინკების აყრა, ღმუილი, ზმუილი, თავის ქნევა და სხვ.

## ცხოველთა სიგნალები

	კარგად ყოფნა	ცუდად ყოფნა
ტემპერამენტი	ყურადღებიანია, თამაშობს ყურებით	აპათიური ქცევა
თვალები	ღია და ნათელი გამოხედვა	ამღვრული მზერა, გამონადენი თვალებიდან
სხეულის პოზა	თავისუფალი და ბუნებრივი დგომა	მოშვებული, მოფამფალებული დგომა, შეწეული მუცელი, ჩამოშვებული ყურები
საკვების მიღების სურვილი	კარგად იკვებება	უმადობა

დისკომფორტს შესაძლოა ავადმყოფობის გარდა სხვა მიზეზებიც ჰქონდეს.

მაგალითად:

- მაღალი ტემპერატურა იწვევს საკვების ნაკლებ მოხმარებას და ცხოველთა აქტივობის შემცირებას.
- საკვების დაბალი ხარისხი ან წყლის არასაკმარისი მიწოდება იწვევს საკვების მოხმარების შემცირებას.

## 5.2 სიგნალების ინტერპრეტაცია

ცხოველების სიგნალების გასაანალიზებლად ყოველთვის უნდა გაითვალისწინოთ არის თუ არა რეალური კავშირი ცხოველის ამჟამინდელ მდგომარეობასა და ცხოველის მიერ გაგზავნილ სიგნალს შორის.

## რატომ აკეთებს ცხოველი იმას, რასაც აკეთებს?

ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს ცხოველთა მდგომარეობის შესახებ ღირებულ ინფორმაციას.

ცხოველის ქცევის რამდენიმე მიზეზი არსებობს:

- ქცევა ასახავს ცხოველის პოზიტიურ გამოცდილებას: მაგალითად, მას სურს ჭამა, კომფორტულად დაწოლა, გარემოს შეცნობა და თამაში.
- ქცევა მიანიშნებს ნეგატიურ გამოცდილებაზე: ცხოველი გაურბის დომინანტ ცხოველებს, გარბის უხეში ადამიანებისგან.
- გარკვეული ქცევა გარდაუვალია, როდესაც: ცხოველი, მაგალითად, ავადა ან რაიმე სტკივა. ეს შესაძლოა ახურების პერიოდთან ან მშობიარობასთან იყოს დაკავშირებული.

## 5.2 ცხოველზე სისტემატიური დაკვირვება

ცხოველებზე წარმატებული დაკვირვებისთვის მნიშვნელოვანია სისტემური მიდგომა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დაკვირვებებს რეგულარული ხასიათი უნდა ჰქონდეს და ყოველთვის ერთსა და იმავე დროს და ერთი და იმავე თანმიმდევრობით განხორციელდეს. საკონტროლო სია დაგეხმარებათ ამასში. დააკვირდით ცხოველებს მიუკერძოებლად და მიზანმიმართულად.

### ჯგუფიდან ინდივიდამდე

კარგი დაკვირვება მთლიანი ჯგუფიდან დაწყებას და ცალკეულ ინდივიდებზე გადასვლას გულისხმობს. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველ რიგში ყურადღება უნდა მიაქციოთ ცხოველთა სიგნალებს მთელ ჯგუფში, შემდეგ ცალკეულ ქვეჯგუფებს და ბოლოს კი, ცალკეულ ცხოველებს.

ამ დროს საკუთარ თავს შემდეგი კითხვები უნდა დაუსვათ:

- იძლევა თუ არა ნახირი ერთიან სურათს?
- თუ არა, რით განსხვავდებიან ცხოველები?
- რომელი ცხოველები გამოირჩევიან?
- მიეკუთვნებიან თუ არა ისინი რისკის ჯგუფს?
- რამდენი წევს ამ ცხოველთაგან?
- ურჩევნია თუ არა ზოგიერთ მათგანს, განმარტობით ყოფნა?

ცხოველზე დაკვირვების სამი შეკითხვა

1. რას ვხედავ?

აღწერეთ სიტუაცია.

2. რას ნიშნავს ეს?

• ეს ცალკეული ცხოველის სიგნალია თუ მთელი ნახირის?

• არის თუ არა ეს პოზიტიური ინფორმაცია თუ მჭირდება ზომების მიღება?

3. რატომ არის ასე?

ექებეთ მიზეზი

### შორიდან და ახლოდან

ცხოველებს ჯერ ყოველთვის შორიდან დააკვირდით, რათა მხედველობის არეში მთლიანი ნახირი მოიცვათ. ასეთი დაკვირვებით არ შეაწუხებთ ცხოველებს და არ მოახდენთ გავლენას მათ ქცევაზე. ამის შემდეგ უკვე შეგიძლიათ ნახირში გაერიოთ და ცალკეული ცხოველების სიგნალებს ახლოდან დააკვირდეთ.



შეაფასეთ ჯერ მთელი ნახირი, შემდეგ ცალკეული ჯგუფები და მხოლოდ ამის შემდეგ ცალკეული ცხოველი და პირიქით: ჯერ ცალკეული ცხოველები, შემდეგ ჯგუფები და შემდეგ მთელი ნახირი. ყოველი ცალკეული ცხოველი და ჯგუფი დამოუკიდებელ ინფორმაციას იძლევა